VERTRAG Nr. GE-08 (02/2013)

über die Zusammenarbeit auf dem Gebiet der Erwachsenenbildung

zwischen dem

Institut für Internationale Zusammenarbeit

des Deutschen Volkshochschul-Verbandes e.V. (*dvv international*)

Obere Wilhelmstrasse 32, 53225 Bonn, Bundesrepublik Deutschland

und dem

The Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

A. Machavariani (fruehere Aragvi) Str. 4, 0179 Tbilissi, Georgien

für das Jahr 2013

§ 1

Die Erwachsenenbildung/Weiterbildung ist ein wichtiger Bestandteil des Bildungssektors und ein unverzichtbares Instrument für die Entwicklung eines jeden demokratischen Gemeinwesens unter Partizipation seiner Bürgerinnen und Buerger am politischen, kulturellen, sozialen und wirtschaftlichen Gesellschaftsprozess. Der beruflichen Aus- und Weiterbildung kommt dabei eine besondere Rolle zu, da sie dazu beiträgt, die Beschäftigungs- und Einkommenssituation der Bevölkerung zu verbessern.

Das Institut für Internationale Zusammenarbeit des Deutschen Volkshochschul-Verbandes e. V., im folgenden „*dvv international*" genannt, vertreten durch die Leiterin des Projektbüros Tbilissi / Georgien, Frau Lali Santeladze, und das **Institute for Development of Freedom of Information (IDFI)**, im folgenden die "Partnerorganisation" genannt, vertreten durch seinem Leiter, Herrn Giorgi Kldiashvili, wollen daher auf diesem Gebiet zusammenarbeiten.

Der DVV ist eine gemeinnützige Organisation. Sein Institut für Internationale Zusammenarbeit wird für die Durchführung von Maßnahmen der Kooperation vom Bundesministerium für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ) im Rahmen des Projektes „Förderung der Erwachsenenbildung in Asien" gefördert.

§ 2

Das *dvv international* stellt aus den hierfür bewilligten Mitteln und vorbehaltlich des Vollzugs der Bewilligung durch den Bundeshaushalt Mittel für die Zusammenarbeit mit der Partnerorganisation zur Verfügung.

Die Kooperation umfasst den Zeitraum vom 01. Maerz 2013 bis zum 15. Dezember 2013.

Für den Vertragsabschluss legt die Partnerorganisation dem ***dvv international*** einen Zeit- und Kostenplan zu den Maßnahmen zur Abstimmung und nachfolgenden Bewilligung hinsichtlich der Höhe und Art der Unterstützung vor.

Im Projektverlauf notwendig werdende Anpassungen der Programmplanung bedürfen der vorherigen Zustimmung des ***dvv international***.

§ 3

Die Zusammenarbeit mit der Partnerorganisation wird sich auf die Durchführung des folgenden Projektes erstrecken:

„Jungste Geschichte Georgiens", die Erforschung und Analyse der jungsten sozio-poltischen Ereignisse in Georgien in den 1989-1991 Jahren.

Im Rahmen des Projektes sind die Durchführung folgender Maßnahmen vorgesehen:

- **Erfassung, Verarbeitung und Analyse der Archivmaterialian und Unterlagen der jungsten Geschichte Georgiens vom 1989-91 im Archiv des Innenministeriums Georgiens;**
- **Analyse der sozio-politischen Aenderungen und Transformation im Zeitraum vom 1989-91 durch Studium der Pressearchive der Nationalbibliothek Georgiens;**
- **Aufnahme von 10 Zeitzeugengeschichten;**
- **Durchfuehrung von 2 Diskussionen mit der Teilnahme von Geschichtsforschern und Zeitzeugen dieser Periode;**
- **Publikation der Projektmaterialien: „Ereignisse aus der jungsten Geschichte Georgiens vom 1989-1991" (500 Exemplare).**

Daraus sind folgende Kosten zu begleichen, insbesondere:

- Gehaeltern fuer Administration und Honorare für Experten (eischliesslich der Lohnnebenkosten) für;
- Anschaffung der Buerotechnik (PC und Digitalkamera);
- Aufwendungen im Zusammenhang mit dem Kopieren und Scannen von Archivmaterialien;
- Druckkosten (inkl. Honorare für Author, Redakteur, Designer, etc.) für die Publikation;
- Kosten für die Praesentation des Projektes;
- Alle weiteren Kosten im Zusammenhang mit der Organisation und Durchführung der Veranstaltungen.

Der Umfang der Fördermittel beträgt insgesamt 44.000,- GEL.

§ 4

Die finanziellen Mittel für die Durchführung der in § 3 genannten Maßnahmen werden der Partnerorganisation durch das ***dvv international*** Projektbüro Tbilissi nach Abschluss dieses Vertrages auf ein von der Partnerorganisation anzugebendes Konto überwiesen. **Die erste Ueberweisung in Hoehe von 5.000 GEL erfolgt spaetestens bis zum 4. Maerz 2013.** Die zweite Zahlung kann jedoch erst erfolgen, wenn mindestens **70%** des ersten Auszahlungsbetrags abgerechnet sind, die nächste Rate kann entsprechend erst gezahlt werden, wenn die erste Rate komplett und die zweite zu mindestens 70 % abgerechnet ist, usw.

§ 5

Diese Finanzmittel können nur für die in den §§ 1 und 3 genannten Zwecke unter Berücksichtigung der in §2 festgelegten Daten eingesetzt werden. Ausrüstung und Lehrmaterialien gehen nach Übergabe durch das ***dvv international*** unmittelbar in das Eigentum der Partnerorganisation über, die sich verpflichtet, diese Gegenstände ausschließlich für die genannten Zwecke zu verwenden.

§ 6

Die Partnerorganisation verpflichtet sich, die zur Verfügung gestellten Mittel **bis zum 15. Dezember 2013** sparsam und zweckbestimmt einzusetzen und dem ***dvv international*** **ab April** bis spätestens 5. jedes Folgemonates die Finanzabrechnung (vereinbarte Form) bzw. Projektbericht des Vormonates vorzulegen. Eine Endabrechnung sowie ein Bericht über die mit diesen Ausgaben verbundenen Maßnahmen werden dem ***dvv international*** **bis zum 16. Dezember 2013** eingereicht.

Monat	Abgabefrist
April	07.05.2013
Mai	05.06.2013
Juni	05.07.2013
Juli	05.08.2013
August	05.09.2013
September	08.10.2013
Oktober	05.11.2013
November	05.12.2013
Dezember	16.12.2013

Die Richtlinien der Projektabrechnung und Verwaltung in ihrer jeweils aktuellen Fassung sind Bestandteil dieses Vertrages.

Unabhängig davon ist die Partnerorganisation bereit, zuständigen Mitarbeiter/n des ***dvv international*** sowie Prüfern der Zuwendungsgeber oder des Bundesrechnungshofs jederzeit Einblick in die buchhalterischen und sachlichen Unterlagen aus der hier vereinbarten Kooperation zu gewähren.

§ 7

Sollte der vereinbarte Betrag nicht mehr ordnungsgemäß verausgabt werden können, so wird das ***dvv international*** umgehend informiert und um Weisung gebeten.

Die Partnerorganisation verpflichtet sich weiterhin, dafür zu sorgen, dass der Druckauftrag fachgemäß und in angemessener Qualität durchgeführt wird. Es wird außerdem vereinbart, dass das Recht auf weitere Druckauflagen nicht beim Verlag oder der Druckerei verbleiben.

§ 8

Der Projektpartner wird dafür Sorge tragen, dass die von ihm mit der Vorbereitung und Durchführung des Projektes und der Auftragsvergabe über die finanzierten Lieferungen und Leistungen betrauten Personen oder Organisationen im Zusammenhang mit diesen Aufgaben keine rechtswidrigen Zahlungen oder sonstigen Vorteile verlangen, annehmen, leisten, gewähren, versprechen oder sich versprechen lassen.

§ 9

Alle Änderungen und Ergänzungen zu diesem Vertrag bedürfen der schriftlichen Form und sind von beiden Seiten zu unterschreiben. In diesem Fall sind sie Bestandteil dieses Vertrages und ihm gleichwertig.

§ 10

Dieser Vertrag wird in deutscher und in georgischer Sprache in jeweils 2 (zwei) Exemplaren ausgefertigt und unterschrieben. Die Streitfällen zwischen den Vertragsparteien unterliegen dem georgischen Recht. In diesem Fall wird es die georgische Textversion des Vertrages angewandt.

Die Kontaktinformationen, Bankverbindungen und Unterschriften der Vertragsparteien:

„dvv international"

Projektbüro Tbilissi / Georgien

Napareuli Str. 4, App. 5, 0179 – Tbilissi
Telefon / Fax: (+995 32) 291 34 75, 225 17 52
E-Mail: info@dvv-international.ge
Kontonummer: GE51PC0053600100011750
Bankleitzahl: MIBGGE22
Zentrale Filiale der "ProCredit Bank"- GE

Stempel

Lali Santeladze

28. Februar 2013

"Partnerorganisation"

Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
A. Machavariani (fruehere Aragvi) Str. 4, 0179 Tbilissi
Telefon: (+995 79) 520100
E-Mail: info@idfi.ge; g.kldiashvili@idfi.ge
Kontonummer: GE73BG0000000138095001
Bankleitzahl: BAGAGE22
Zentrale Filiale der „Bank of Georgia" - GE

Stempel

Giorgi Kldiashvili

28. Februar 2013

dvv international
Institut für Internationale Zusammenarbeit
des Deutschen Volkshochschul-Verbandes

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №GE - 08 (02/2013)

ზრდასრულთა განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის *(dvv international)* საქართველოს ფილიალს, "თბილისის პროექტთა ბიუროსა"

(მისამართი: ნაფარეულის ქ. 4, ბ. 5, 0179 თბილისი)

და

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა № 4; 0179, თბილისი

შორის

თბილისი 2013

§ 1

ზრდასრულთა განათლება განათლების სფეროს შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამავე დროს, იგი ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების მონაწილეობას საზოგადოების პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება ზრდასრულთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რადგან იგი მოსახლეობის დასაქმების შანსებისა და შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს.

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი "თბილისის პროექტთა ბიურო", შემდგომში ***dvv international***-ად წოდებული, მისი ხელმძღვანელის ქ-ნ ლალი სანთელაძის სახით, ერთის მხრივ, და **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი,** შემდგომში "პარტნიორ ორგანიზაციად" წოდებული, მისი დირექტორის, ბ-ნ გიორგი კლდიაშვილის სახით, მეორეს მხრივ, გამოთქვამენ ზრდასრულთა განათლების სფეროში თანამშრომლობის სურვილს.

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაცია საზოგადოებრივი არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც, მისი საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის საშუალებით, ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებს და ამისთვის იღებს დაფინასებას გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსგან (BMZ).

§ 2

გერმანიის ფედერალური ბიუჯეტიდან თანამშრომლობისათვის გამოყოფილი და დამტკიცებული სახსრებიდან ***dvv international*** ფინანსურ დახმარებას გაუწევს პარტნიორ ორგანიზაციას ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული პროექტის განხორციელებისათვის.

თანამშრომლობა მხარეებს შორის მოიცავს პერიოდს **01.03.2013-დან 15.12.2013**-მდე.

ხელშეკრულების გაფორმებამდე პარტნიორი ორგანიზაცია წარუდგენს ***dvv international***-ს დაგეგმილი პროექტის ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვასა და დროში გაწერილ გეგმას ფინანსური დახმარების ოდენობისა და ფორმის შეთანხმებისა და დამტკიცების მიზნით.

პროექტის მსვლელობისას, აუცილებლობით გამოწვეული ცვლილებების შეტანა დაგეგმილ პროგრამაში და ღონისძიებების კორექტირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ***dvv international***-ის წინასწარი თანხმობით.

§ 3

თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციასთან მოიცავს შემდეგი პროექტის განხორციელებას:

„ახალი სახელმწიფოს წარსული მემკვიდრეობა", 1989-1991 წლებში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ანალიზი.

ამ მიზნის მისაღწევად პარტნიორი ორგანიზცია განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში 1989-1991 წწ. შესახებდაცული საარქივო მასალების და დოკუმენტების მოძიება და გაანალიზება;
- საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში საგაზეთო ფონდში დაცულ ჟურნალ-გაზეთებზე დაყრდნობით ამ პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ სოციო-პოლიტიკური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის გაანალიზება;
- 10 ზეპირი ისტორიის ჩაწერა ამ პერიოდის აქტიურ მონაწილეებთან;
- პროექტის განმავლობაში მოეწყობა 2 დისკუსია, სადაც მოწვეული იქნებიან ამ პერიოდის მკვლევარი ისტორიკოსები და პროცესების მონაწილეები;
- პროექტის მასალებზე დაყრდნობით გამოიცემა პუბლიკაცია: „1989-1991 წწ.-ის საქართველოს ისტორიდან" (500 ეგზემპლარი).

პროექტის ღონისძიებათა სრული აღწერა, სამოქმედო გეგმა და შეთანხმებული ბიუჯეტი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და მისი შემადგენელი ნაწილია (იხ. დანართები 1).

პროექტის რეალიზებისათვის ***dvv international***-ის მიერ პარტნიორი ორგანიზაციისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება (გრანტი) შეადგენს ჯამში **44.000 ლარს.**

§ 4

§3-ით გათვალისწინებული პროექტის რეალიზებისთვის საჭირო ფინანსურ სახსრებს ***dvv international*** წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, გადარიცხავს. პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მითითებულ ანგარიშზე. პირველი გადარიცხვა განხორციელდება 2013 წლის არაუგვიანეს **4 მატრისა** და შეადგენს **5.000 ლარს.** მეორე გადარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარტნიორი ორგანიზაცია აითვისებს პირველი გადარიცხვის სულ ცოტა 70%-ს. ყოველი მომდევნო გადარიცხვა განხორციელდება მას შემდეგ, რაც ათვისებულ იქნება წინა გადარიცხვის 70% და უფრო ადრინდელი გადარიცხვები მთლიანად.

§ 5

ფინანსური სახსრები უნდა მოხმარდეს მხოლოდ §§ 1 და 3-ში დასახელებულ ზრდასრულთა განათლების მხარდაჭერისკენ მიმართულ მიზნებს § 2-ში მითითებულ ვადებში. პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას ***dvv international***-ს მიერ საკუთრებაში გადმოცემული აღჭურვილობა გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ დასახელებული მიზნების მისაღწევად.

§ 6

პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია **15.12.2012-მდე** დახარჯოს გამოყოფილი ფინანსური სახსრები მიზანმიმართულად და ეკონომიურად და **16.12.2013-მდე** წარუდგინოს ***dvv international***-ს ჯამური ფინანსური და თემატური ანგარიში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. ამას გარდა, თანხის მიღების შემდეგ, პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია ყოველი თვის 5 რიცხვამდე (დაწყებული **აპრილის** თვიდან) წარუდგინოს ***dvv international***-ს წინა თვის ფინანსური და თემატური ანგარიში შეთანხმებული ფორმით. გარდა ამისა, პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია ყოველ ექვს თვეში ერთხელ ***dvv international***-ს წარუდგინოს ჯამური თემატური ანგარიში (თემატური ანგარიშგების ენაა ინგლისური ან გერმანული).

dvv international-ის პროექტების მართვისა და ანგარიშგების წესების აქტუალური ვერსია ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია (იხ. დანართი 2). ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, პარტნიორი ორგანიზაცია ადასტურებს, რომ მიიღო, გაეცნო და ეთანხმება აღნიშნულ წესებს.

ამისგან დამოუკიდებლად პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია ***dvv international***-ის თანამშრომლებსა და სხვა ნდობით აღჭურვილ პირებს (აუდიტორებს) მისცეს ნებისმიერ დროს საშუალება გაეცნონ საბუღალტრო მონაცემებს, აგრეთვე სხვა დოკუმენტაციას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

§ 7

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური სახსრების გამოყენება ვერ ხერხდება გეგმის მიხედვით, პარტნიორი ორგანიზაცია საქმის კურსში აყენებს ***dvv international***-ს დაუყოვნებლივ და ელოდება მის მითითებებს.

პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული მასალების გამოცემა და ბეჭდვა იქნება ხარისხიანი და კომპეტენტური. გარდა ამისა, სავალდებულოა, რომ მასალების შემდგომი გამოცემების უფლება არ დარჩეს გამომცემლობას ან სტამბას.

§ 8

პროექტის პარტნიორი იზრუნებს, რომ პირებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც იგი მიანდობს პროექტის მომზადებისა და განხორციელების და ასევე დაფინანსებული გადაზიდვებისა და აქტივობების კონტრაქტით გაცემის საკითხებს, ამ დავალებებთან დაკავშირებით არ მოითხოვონ, მიიღონ, განახორციელონ, დაუშვან, შეპირდნენ ან სხვისგან მიიღონ შეპირება კანონსაწინააღმდეგო გადახდების ან სხვა სახის სარგებლის თაობაზე.

§ 9

ნებისმიერი დამატება ან ცვლილება ძალაშია, თუ შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ასეთ შემთხვევაში, ცვლილებები და დამატებები ამ ხელშეკრულების ნაწილს შეადგენენ და მოქმედებენ მასთან ერთად.

§ 10

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და გერმანულ ენებზე ორ-ორ ეგზემპლიარად. მხარეებისთვის განკუთვნილია თითო-თითო ეგზემპლიარი და ისინი თანაბარი ძალისანი არიან. მხარეებს შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ქართულ ვერსიას.

მხარეთა საკონტაქტო ინფორმაცია, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

dvv international
სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი "თბილისის პროექტთა ბიურო"

მის: ნაფარეულის ქ. 4, ბინა 5
0179 თბილისი

ტელ./ფაქსი: (995 32) 291 34 75, 225 17 52
ელ-ფოსტა: info@dvv-international.ge

ანგარიშის N: GE51PC0053600100011750
ბანკის კოდი: MIBGGE22
"პროკრედიტ ბანკის" ც. / ფილიალი

პარტნიორი ორგანიზაცია
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მის.: ა. მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა № 4
0179 თბილისი

ტელ.: (+995 79) 520100
ელ-ფოსტა: info@idfi.ge / g.kldiashvili@idfi.ge

ანგარიშის N: GE73BG0000000138095001
ბანკის კოდი: BAGAGE22
საქართველოს ბანკი

DVV INTERNATIONAL PROJECT OFFICE TBILISI/GEORGIA 204444716

ლალი სანთელაძე

28 თებერვალი 2013 წ.

ბ. ა.

IDFI

გიორგი კლდიაშვილი

28 თებერვალი 2013 წ.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგაც კი სსრკ-ს არსებობის ბოლო წლების და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლები არაა სათანადოდ შესწავლილი. ის ასახვას ვერ ჰპოვებს სკოლის სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო დისკუსიაში. საქართველოში დღემდე მიღებულია მოსაზრება, რომ ყველა ე.წ. „დისიდენტი" იყო ნაციონალისტი და რომ მათ მიერ წარმოებული „ანტი-საბჭოთა" მოქმედებები და მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. იყო ნაციონალური იდენტობა გადამწყვეტი მომენტი დისიდენტურ მოძრაობაში 1980-იანი წლების მიწურულს? ეს და სხვა პასუხგაუცემელი კითხვები რჩება საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 20 წლის შემდგომაც:

1) როგორი იყო საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ;
2) იყო თუ არა საქართველოს დისიდენტური მოძრაობა მზად დამოუკიდებელი საქართველოს სამართავად;
3) მოხდა თუ არა რეალურად 1990-იან წლებში საბჭოთა ელიტის ჩანაცვლება ახალი პოლიტიკური ძალით და რატომ იბრძოდა ე.წ. კომუნისტური ელიტა საკუთარი პრივილეგიების დასაბრუნებლად;
4) საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შეიცვალა თუ არა ყოველდღიური ცხოვრება თუ ის კვლავ „საბჭოური" რჩებოდა?

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური ელიტები (მათ შორის კომუნისტური) ახალი რეალობის მისაღებად მზად არ იყვნენ. ახალი სინამდვილე კი უცებ არ დამდგარა.

საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელი წლები რამდენიმე მახასიათებლით იყო საინტერესო. უპირველეს ყოვლისა ეს იყო „საჯაროობის" (гласность) პერიოდი, როდესაც მეტ-ნაკლებად გაიხსნა ინფორმაცია და პრესაში ხელმისაწვდომი გახდა აქამდე ტაბუირებული ფაქტები და მოვლენები საბჭოთა კავშირის ისტორიიდან. ხელახლა გამოიცა აკრძალული ლიტერატურა, იმდენად აღარ იდევნებოდა პარტიის გენერალური ხაზის საპირისპირო აზრი, საზოგადოებაში დაიწყო პოლიტიკურ თემებზე დისკუსიები. ეს იყო საზღვრების მეტნაკლებად გახსნის პერიოდი, როდესაც სსრკ-დან ემიგრირებულმა ადამიანებმა დასავლეთის ქვეყნებიდან (ე.წ. „კაპიტალისტური ქვეყნებიდან") შემოიტანეს ინფორმაცია „რკინის ფარდის" მიღმა არსებული ცხოვრების შესახებ. საზოგადოებრივად გააქტიურდა სტუდენტობა, უნივერსიტეტი თანდათან ხდება დისიდენტური მოძრაობის მნიშვნელოვანი კერა. თუმცა, უნივერსიტეტის სტუდენტობა ერთობლივად არ იყო ჩართული მიმდინარე მოვლენებში, და იყვნენ სტუდენტების დიდი ნაწილი, რომლებიც აქტიურად იყვნენ დაკავშირებული პარტიულ საქმიანობასთან და მონაწილეობდნენ კომკავშირის ყრილობებზე, ესწრებოდნენ პარტიულ სხდომებს.

დისიდენტური მოძრაობის პარალელურად არსებობდა საბჭოთა ნომენკლატურა, რომელიც 80-იან წლებში საკმაოდ პრივილეგირებულ პირობებში იმყოფებოდა და აშკარად ეწინააღმდეგებოდა საკუთარი პრივილეგიების დათმობას. 1991 წელს საქართველოში დისიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის მოსვლის შემდეგ, ყოფილმა პოლიტიკურმა კლასმა დაკარგა თავისი უპირატესობა როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ ცხოვრებაში. მაგრამ, მათი რეანიმირება საკმაოდ მალე მოხდა, როდესაც ქვეყანაში განვითარებულმა სამოქალაქო ომის შედეგად, პოლიტიკური ძალაუფლება კვლავ ყოფილმა კომუნისტურმა ნომენკლატურამ დაიბრუნა. საქართველოს, მისი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, იგივე საზოგადოებრივი ელიტა მართავდა, რომელიც საბჭოთა წყობის ბოლო წლებში იდგა ქვეყნის სათავეში. ყოფილი საბჭოთა პარტიული ელიტა, სამეცნიერო და კულტურული წრის ყოფილი წარმომადგენლები, ისევე როგორც ფართო საზოგადოება ამ თემების საჯარო განხილვას ერიდებიან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საზოგადოებას ამ საკითხებზე კოლექტიური „ამნეზია" დაემართა. თუმცა აღნიშნული პრობლემების შესწავლის, ანალიზის და გააზრების გარეშე, საქართველოს ისტორიის მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლების უმნიშვნელოვანესი ეპოქა შეუსწავლელი დარჩება და ჩვენი უახლესი წარსულის მეტად

პროექტის მოსალოდნელი შედეგები, მდგრადობა და შესაძლო რისკები

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი შეაგროვებს საარქივო მასალას, დაამუშავებს პრესა-პერიოდიკას ბიბლიოთეკებში, ჩაწერს ზეპირ ისტორიებს. როგორც საბოლოო პროდუქტი, გამოიცემა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ნაშრომი, სადაც ასახული იქნება საქართველოს 1980-იანი წლების მიწურულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში არსებული სოციო-პოლიტიკური, ეკონომიკური ტენდენციები და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შესახებ ინფორმაცია. პუბლიკაციაში ასახული იქნება საქართველოს ტრანსფორმაცია საბჭოთა რესპუბლიკიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოში რა გამოწვევები და პრობლემები ახლდა მას. გამოცემა ხელს შეუწყობს საქართველოს უახლოესი წარსულის შესწავლას და მის სამომავლოა გააზრებას ახალგაზრდა თაობების მიერ.

მდგრადობა

პროექტის ფარგლებში, შეიქმნება პირველი ნაშრომი საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წლების და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლებისა შესახებ, რომელიც საფუძველს დაუდებს მომავალ კვლევებს ამ სფეროში. ასევე, მასწავლებლებს და მოსწავლეებს ექნებათ დამატებითი სახელმძღვანელო, რომლის გამოყენებითაც მათ შეეძლებათ მიიღონ ალტერნატიული ინფორმაცია. პროექტი ხელს შეუწყობს საარქივო კვლევების, ზეპირი ისტორიების შეგროვების სტიმულირებას, რომელშიც ჩართული იქნებიან სკოლის უფროსკლასელები და უნივერსიტეტის სტუდენტები. აღნიშნული ეპოქის შესახებ დისკუსიები გადაინაცვლებს აკადემიურ სფეროში.

პროექტის რისკი

ამ ეტაპზე, ეროვნულ ბიბლიოთეკის პირველ კორპუსში მიმდინარებს სარემონტო სამუშაოები, ამიტომ საგაზეთო ფონდებში მუშაობა შეზღუდულია, არ შეიძლება კონკრეტულ რაოდენობაზე მეტი გაზეთის გამოწერა. საქართველოს შსს არქივებში არ არსებობს საქმეების დეტალური აღწერები და კატალოგები, შესაბამისად ეს გარემოება მკვლევარებს ხელს უშლის კვლევა დროის მოკლე ინტერვალში განახორციელონ, ხშირად საარქივო ძიების პროცესში დროში იწელება საარქივო საქმეების დიდი რაოდენობით გაცნობის გამო.

Visibility

დონორი ორგანიზაციის ვიზუალური მასალის გამოყენება პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე, დოკუმენტაციაზე და ბეჭდვით და ელექტრონულ პროდუქციაზე მოხდება ***dvv international***-ის წესებისა და სტანდარტების შესაბამისად და მასთან შეთანხმებით.

პროექტის მონიტორინგი

პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგს და შიდა ევალუაციას გააკეთებს თავად პროექტის მენეჯმენტი ***dvv international***-ის მენეჯმენტთან ერთად. პროექტის მენეჯმენტი შეიმუშავებს დეტალურ სამოქმედო გეგმას (ე.წ. მონიტორინგის მატრიცა) რომელიც დაეხმარება პროექტის თანმიმდევრულ განხორციელებაში. ***dvv international***-ს წარედგინება ყოველთვიური და წლიური ფინანსური და, ასევე ყოველთვიური, ყოველკვარტალური და საბოლოო ნარატიული ანგარიშები.

ბიუჯეტი

ბიუჯეტი მოწოდებულია ლარში და შეესაბამება პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს (იხ. დანართი 1).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
The Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

საპროექტო წინადადება

„ახალი სახელმწიფოს წარსული მემკვიდრეობა“
(პუბლიკაცია: 1989-1991 წლებში საქართველოში განვითარებული
ზოგიერთი მოვლენის ანალიზი)

"Past Heritage of a New State"

(Publication: Analysis of Certain Events That Took Place in Georgia in 1989-1991)

წარდგენილი დაფინანსების/თანადაფინასების მოსაპოვებლად

*სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის (**dvv international**)*
საქართველოს ფილიალში– "თბილისის პროექტთა ბიურო"

წარმომდგენელი პირის: / გიორგი კლდიაშვილი

განცხადების წარმოდგენის თარიღი: 18 თებერვალი 2013წ.

ბ. ა.

IDFI

თბილისი
2013

<u>პროექტის სახელწოდება:</u>

„ახალი სახელმწიფოს წარსული მემკვიდრეობა " (პუბლიკაცია: 1989-1991 წლებში საქართველოში განვითარებული ზოგიერთი მოვლენის ანალიზი)

<u>საჭირო პერსონალი:</u>

პროექტის დირექტორი: გიორგი კლდიაშვილი; 579 520 100; **g.kldiashvili@gmail.com**
პროექტის კოორდინატორი / მკვლევარი: დავით ჯიშკარიანი; 571 003 777; **jishkariani.davit@gmail.com**
მკვლევარი: იულია ადელხანოვა; 595 285215; **j.adelkhanova@idfi.ge**
მკვლევარის ასისტენტი: ნინო კვიმსაძე; 558 581278; **n.kvimsadze@idfi.ge**
პროექტის ბუღალტერი: დავით დოლიძე; 597 996575; **d.dolidze@idfi.ge / da_leka@yahoo.com**

(პროექტის ბუღალტერს ევალება პროექტის ფინანსური მართვა, ყოველთვიური და საბოლოო ფინანსური ანგარიშების მომზადება და წარდგენა დონორისათვის და ანგარიშგება საქართველოს საგადასახადო სამსახურის წინაშე. პროექტის ანგარიშგება ტარდება პროექტის დამფინანსებლების მოთხოვნისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად).

<u>**პროექტის სრული ღირებულება:**</u>	**44.000 ლარი**
მოთხოვნილი თანხა:	**44.000 ლარი**
განხორციელების პერიოდი:	**01.03.2013 - 15.12.2013**

<u>**პროექტის ზოგადი მიზანი**</u>

საქართველოში საბჭოთა კავშირის უკანასკნელი პერიოდის ისტორიის შესწავლა და საბჭოთა წარსულის გააზრების ხელშეწყობა.

<u>**კონკრეტული მიზანი**</u>

- საქართველოში საბჭოთა ეპოქის მიწურულის და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლების შესახებ განათლების დონის ამაღლება;
- საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მსხვრევის შედეგად ფორმირებული ახალი პოლიტიკური ელიტების კვლევის შემდგომი წახალისება;
- საქართველოში პოსტსაბჭოური ეპოქის გარშემო საზოგადოებრივი განხილვის დაწყების ხელშეწყობა;
- საქართველოში საარქივო კვლევების შემდგომი ხელშეწყობა.

ორგანიზაცია: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
Organisation : The Institut for development of Freedom of Information

#	კატეგორია / Description	Unit	GEL per Unit	Number of Units	ჯამი Sum GEL
1. (5130) ხელფასები / Personnel Costs					
1.1 ხელფასები / Salaries					
1.1.1	დირექტორი / Director (50%)	Month	467.50	10	**4,675.00**
1.1.2	ბუღალტერი / Accountant	Month	132.00	10	**1,320.00**
სულ ხელფასები / Total salaries					**5,995.00**
2. (5300) ოფისის ხარჯი / Project Infrastructure					
2.1 ოფისის ხარჯები / Office Material					
2.1.1	საკანცელარიო საქონელი / Stationery	Month	100.00	10	**1,000.00**
2.1.2	ბანკის მომსახურება / Bank Charges	Month	6.00	10	**60.00**
სულ ოფისის ხარჯები / Total Project Infrastructure					**1,060.00**
3. (1300) პუბლიკაციები და მედია / Publications and Media					
3.1 ბეჭდვითი პროდუქცია / Printing Material					
3.1.1	წიგნის გამოცემა / Publishing of the book (design, pre-print work, print etc.)	Unit	18.00	500	**9,000.00**
3.1.2	სხვა ბეჭდვითი ხარჯი / Other printing expenses				**660.00**
სულ პუბლიკაციები და მედია / Total Publications and Media					**9,660.00**
4. (3100) აღჭურვილობა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის / Equipment for Educational Activities					
4.1 აღჭურვილობა / Equipment					
4.1.1	კომპიუტერი / Computer	Unit	1760	1	**1,760.00**
4.1.2	დიგიტალური კამერა / Digital camera	Unit	995	1	**995.00**
სულ აღჭურვილობა / Total Equipment					**2,755.00**
5. (1100) საგანმანათლებლო საქმიანობა / Educational Activities					
5.1 მკვლევარის ხელფასი / Salary Researcher					
5.1.1	მკვლევარის ხელფასი / Salary Researcher #1	Month	990.00	10	**9,900.00**
5.1.2	მკვლევარის ხელფასი / Salary Researcher #2	Month	770.00	10	**7,700.00**
5.1.3	მკვლევარის ასისტენტის ხელფასი / Salary Assistant of the Researcher	Month	550.00	10	**5,500.00**
5.2 საგანმანათლებლო საქმოანობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი / Additional Educational Acitivities					
5.2.1	საარქივო მომსახურება / Expence related to the archive work (fees on copies, scanning and photos of documents)				**330.00**
5.2.2	პროექტის პრეზენტაცია / Project presentation	Unit	1,100.00	1	**1,100.00**
სულ საგანმანათლებლო საქმიანობა / Total educational Activities					**24,530.00**
სულ ბიუჯეტი / Total Budget					**44,000.00**

თარიღი / Date: 18.02.2013

ხელმოწერა / Signature

IDFI

dvv international
Institut für Internationale Zusammenarbeit
des Deutschen Volkshochschul-Verbandes

პროექტების მართვისა და ანგარიშგების წესები

<u>საველდებულოა</u> სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის, „თბილისის პროექტთა ბიუროს“ (dvv international) <u>პარტნიორი ორგანიზაციებისათვის</u> ურთიერთთანამშრომლობის პროექტების ფარგლებში <u>სახელმძღვანელოდ</u>

1. თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები

ყველა პროექტი უნდა განხორციელდეს *dvv international*-სა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის მიღწეული შეთანხმებისა და ერთობლივად შემუშავებული დაფინანსების გეგმის საფუძველზე. პარტნიორი ორგანიზაციისათვის დაუშვებელია ამ სახელშეკრულებო პირობების უგულვებელყოფა *dvv international*-ისგან წინასწარ მიღებული თანხმობის გარეშე.

2. სამეურნეო წელი

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, სამეურნეო წელი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. საბიუჯეტო წლის ბოლოს უნდა მოხდეს *dvv international*-ისთვის ყველა იმ გამოუყენებელი სახსრების უკან დაბრუნება, რომელთა დახარჯვა მიმდინარე წლისათვის იყო დაგეგმილი. თუკი პროექტის განხორციელების შეთანხმებული პერიოდი სამეურნეო წლის ვადებს სცილდება, ან ადგილი აქვს პროექტის განხორციელების ვადის გახანგრძლივებას, წინა წლის გამოუყენებელი თანხა ჩაითვლება მომდევნო წლისთვის გათვალისწინებული თანხის ავანსად.

3. პროექტის თანხების მართვა

პროექტის თანხების პარტნიორი ორგანიზაციისათვის გადაცემა ხორციელდება მიღწეული შეთანხმების ფარგლებში გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. სასურველია პარტნიორმა ორგანიზაციამ *dvv international*-ს თანხების მისაღებად გახსნას ცალკე ანგარიში ბანკში. ასეთ შემთხვევაში ამ ანგარიშის ამონაწერები თან უნდა დაერთოს ანგარიშგების სხვა საბუთებს.

ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების საპროექტო ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და პუბლიკაციების გაყიდვიდან შემოსავლის მიღების შესახებ უნდა ეცნობოს *dvv international*-ს. ზემოაღნიშნული თანხები უნდა გატარდეს როგორც შემოსავალი და გამოყენებული იქნას პროექტის მიზნებისათვის.

ბ) მონაწილეთა და ასევე მომსახურე პერსონალის სია მათი დასწრების დასადასტურებლად. სიაში მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი და გვარი, ორგანიზაცია, (ქვეყანა), ადგილი და მონაწილეთა და პერსონალის ხელმოწერა;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები იღებენ ფიქსირებულ თანხას ბინისა და კვების ხარჯების დასაფარავად, მათ სიაში ხელმოწერით (როგორც ეს მითითებულია „ბ" პუნქტში) უნდა დაადასტურონ ამ თანხის მიღება. თანხის ოდენობა ყოველი მონაწილეზე უნდა იქნას მითითებული ნათლად. იგივე პრინციპი უნდა იქნას გამოყენებული მონაწილეთა მიერ მგზავრობაში დახარჯული და დოკუმენტურად დადასტურებული თანხის ანაზღაურების შემთხვევაშიც;

ალტერნატიული ვარიანტია, როცა პარტნიორი ორგანიზაცია თავის თავზე იღებს მგზავრობის, დაბინავების და ა.შ. ხარჯებს და დაადასტურებს გაწეულ ხარჯს ტურისტული სააგენტოების, სასტუმროებისა და რესტორნების ანგარიშების საფუძველზე. ამ ანგარიშში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების ერთეული და ჯამური ფასი (კვება, დაბინავება, საკონფერენციო დარბაზის ქირა, მგზავრობის ხარჯი და სხვა). აღნიშნული ვარიანტის არჩევის შემთხვევაში გამორიცხულია ფიქსირებული თანხის მონაწილეებისათვის გადაცემა;

დ) საბუთები ისეთ ხარჯებზე, როგორიცაა სემინარისათვის შეძენილი მასალა, საწერი საშუალებები, სასწავლო და დიდაქტიკური მასალა, ტრანსპორტის ხარჯები, საწვავი და ასევე ხარჯები დამხმარე პერსონალზე და ადმინისტრაციაზე;

ე) გამოყენებული თვითმფრინავის ბილეთები იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეთა, ლექტორთა, სემინარის პერსონალისა და სხვა პირების მგზავრობა აუცილებელია ღონისძიების ჩასატარებლად;

ვ) ხარჯების ერთობლიობა, რომელშიც წარმოდგენილია კვებისა და დაბინავების, ასევე სატრანსპორტო ხარჯების, ქირის, გადასახადების, მასალისა და სხვა ღონისძიების ჩასატარებლად აუცილებელი ხარჯების ჩამონათვალი;

ზ) ღონისძიების შეჯამებული ანგარიში, სადაც აღწერილია მისი თემა, მიზნობრივი ჯგუფი, დღის წესრიგი, დიდაქტიკური მეთოდები და მიზნები და შეფასებულია მოცემული ღონისძიების შედეგები.

ნებისმიერი სახის სტიპენდიის გაცემის დოკუმენტირება (დადასტურება) ხდება სტიპენდიის მიმღებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს სტიპენდიის მიზანი, სწავლების კურსის შინაარსი, ვადა, ფინანსური ვალდებულებები და სტიპენდიის გაცემისათვის სხვა მნიშვნელოვანი შეთანხმებები.

პუბლიკაციის მომზადებისას პარტნიორი ორგანიზაცია ატყობინებს *dvv international*-ს პროექტის ფარგლებში შემუშავებული (სასწავლო) მასალების სათაურს, ენას, ტირაჟს, მიზნობრივ ჯგუფს და განაწილების წესს. ამისა შემდგომ უნდა მოხდეს დიზაინის შეთანხმება *dvv international*-თან. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია, პროექტის ფარგლებში შექმნილი მასალების ერთ-ერთ თავფურცელზე (ან

- 2 წელს, თუ ერთეული შენაძენის ღირებულება 5 000 ლარზე ნაკლებია;
- 5 წელს, თუ ერთეული შენაძენის ღირებულება 5 000 ლარზე მეტია;
- 15 წელს, თუ ეს ეხება უძრავ ქონებას, რომლის ღირებულება მინიმუმ 20 000 ლარი ან მეტია და მისი დაფინანსება მოხდა *dvv international*-ის მეშვეობით.

დაუშვებელია *dvv international*-ის თანხმობის გარეშე იმ საგნების გაყიდვა, თხოვება და გაქირავება, რომელთა შეძენა მოხდა *dvv international*-ისა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტნიორმა ორგანიზაციამ უნდა აუნაზღაუროს *dvv international*-ს ამ ნივთების ღირებულება არსებული საბაზრო ფასით.

5. პროექტის თანხების ანგარიშგებები

პროექტის მანძილზე პარტნიორი ორგანიზაცია უგზავნის *dvv international*-ს ყოველთვიურ ფინანსურ ანგარიშგებას გაწეული საფინანსო ოპერაციების შესახებ მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. მოცემული პროექტის თანხების ანგარიშგება შედგება ყველა მიღებული თანხისა (იხილეთ მე-3 თავი), ხარჯებისა თუ სხვა ფინანსური ოპერაციების ჩამონათვალისაგან პროექტის ბიუჯეტის სტრუქტურის შესაბამისად. ბიუჯეტის ძირითად თავებს შორის თანხის გადატანა არ უნდა აღემატებოდეს დაგეგმილის 15%-ს, რაც უნდა დასტურდებოდეს ჯამურ ფინანსურ ანგარიშში თანდართული ცხრილით. ყოველი ხარჯი და შემოსავალი დეტალურად უნდა იყოს მოცემული და დანომრილი. აქვე გათვალისწინებული უნდა იყოს მე-4 თავის მითითებები.

ქვითრები, ანგარიშ-ფაქტურები და სხვა დანარჩენი დოკუმენტები *dvv international*-ს უნდა მიეწოდოს ორიგინალის სახით, ან, წინასწარი შეთანხმებით, გარჩევადი და წაკითხვადი ქსეროასლის სახით. საბუღალტრო საბუთების ორიგინალების ქსეროასლის წარდგენის შემთხვევაში თითოეულ მათგანზე მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად და ვისთან ინახება ორიგინალი. ასლზე უნდა იყოს ხელმძღვანლის, ბუღალტრის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და ორგანიზაციის ბეჭედი. ამ მიზნით რეკომენდირებულია სპეციალური შტამპის გამოყენება.

6. პროექტის თანხების ანგარიშგების გამარტივებული მეთოდი და მათი წინაპირობები

საბიუჯეტო თანხების გამოყენებაზე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც *dvv international*-ს ეკისრება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) წინაშე, პარტნიორ ორგანიზაციებს, რომლებიც პროექტის განსახორციელებლად *dvv international*-ისგან თანხებს იღებენ, უფლება აქვთ მოიხსნან საბუღალტრო დოკუმენტების ორიგინალების *dvv international*-ის წინაშე წარდგენის ვალდებულება იმ პირობით, თუ ისინი პროექტის ბუღალტერიას საკუთარი ნებით ან კანონის მიერ დაკისრებული ვალდებულებით წელიწადში მინიმუმ ერთხელ სახელმწიფო ან დამოუკიდებელ აუდიტორს შეამოწმებინებენ.

პროექტის თანხებზე ანგარიშგების გამარტივებული მეთოდის გამოყენება არ ათავისუფლებს პარტნიორ ორგანიზაციებს მე-4 მუხლით ნაკისრი ვალდებულებისაგან, რომელიც ფინანსური საბუთების ორიგინალების შენახვას გულისხმობს.

ანგარიშში შეჯამებულ უნდა იქნეს პარტნიორი ორგანიზაციის აქტივობები ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების კონტექსტში და უნდა ჩანდეს, სასურველია თუ არა *dvv international*-თან მომავალი კოოპერაცია.

ეს ანგარიშები უნდა მიიღოს *dvv international*-მა მოცემული პერიოდის (ამ შემთხვევაში 6 თვის) მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. შემდეგ ანაგრიშში შეჯამებული უნდა იყოს მთელი წლის თანამშრომლობის შედეგები.